№

თბილისის არქიტექტურა

№

მშენებლობის სანებართვო მოწმობა №01122-1

ნებართვის გაცემის თარიღი „18“ 05 2011 წ.

მშენებლობის დაწყების თარიღი „18 მაისი“ 2011 წ.

ნებართვა ძალაშია „18 ნოემბერი“ 2012 წ.

დამკვეთი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „გაზაფხული“

(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, სავაჭრო და საოფისე) ობიექტი

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. თბილისი, სექტორი (საბურთალო), შარტავას ქ. №35

(მისამართი / ადგილმდებარეობა)

№01/10/13/015/008:

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ჟ. შარტავას ქ. №7)

(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ჟ. შარტავას ქ. №7)

(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება № 01/1052, 18.05. 2011 წ.

ნებართვაზე ხელმომწერი პირი: კ. ნიაური

(სახელი, გვარი)

III-IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი

(თანამდებობა)

ბ. ა.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ.(+995 32) 72 22 22 ფაქს.(+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 01/1051

" 18 " 05 2011

ქ. თბილისში, სექტორი (საბურთალო), შარტავას ქ. №35-ში, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „გაზაფხული"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მშენებარე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, სავაჭრო და საოფისე) ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „გაზაფხული"
საპროექტო ორგანიზაცია – შ.პ.ს. „იოტა ჯგუფი"
ავტორი – დ. ძოწენიძე, ა. ლომსაძე

საფუძველი:
- განცხადება №12/46000-13 26.04.11წ. 02.05.11წ. 17.05.11წ.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №882010751338: №01/10/13/015/008:)
- ქალაქთმშენებლობითი პირობები №გ-584 09.01.06წ.
- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 28.02.07წლის №20/171 ბრძანება
- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 05.04.07წლის №6/282 მშენებლობის ნებართვა და 05.04.07წლის №6/282 მშენებლობის სანებართვო მოწმობა
- ქალაქ თბილისის მერის 29.07.09წლის №872 განკარგულება.
- თბილისის არქიტექტურის სამსახურის, თბილისის მერიის სსიპ-ის 14.01.2010 წლის №01/128 ბრძანება და №6/116-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
- ქალაქ თბილისის მერის 28.02.2011 წლის №321 განკარგულება.
- ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 04.03.2011 წლის №დ 158-11 №000585 დადგენილება.

IV კლასი – რისკის მაღალი ფაქტორით

მიწის ნაკვეთის ფართი:	- 2832.00 მ^2
მოშენების ფართი:	- 1470.50 მ^2
საერთო ფართი:	- 26463.00 მ^2
მათ შორის	
საცხოვრებელი ფართი:	- 15131.69 მ^2
კომერციული ფართი:	- 2819.39 მ^2
საზაფხულო ფართი:	- 1441.22 მ^2
ავტოსადგომის ფართი:	- 4056.34 მ^2
სადარბაზოს ფართი:	- 2399.84 მ^2
ეზოს ფართი:	- 494.52 მ^2
ბოქსების ფართი:	- 120.00 მ^2
სამშენებლო მოცულობა:	- 106000.00 მ^3
მათ შორის	
0.00 ქვევით:	- 14715.00 მ^3
0.00 ზევით:	- 91285.00 მ^3

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005 წლის №140-ე დადგენილებისა

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი (საბურთალო), შარტავას ქ. №35-ში, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „გაზაფხული"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მშენებარე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, სავაჭრო და საოფისე) ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 18 მაისიდან 2012 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.
4. განემარტოს დამკვეთს რომ იგი ვალდებულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის გადახდა განახორციელოს მის მიერ წარმოდგენილი გრაფიკის დაცვით, რომლითაც დანართის სახით წარმოადგენს ამ ბრძანების განუყოფელ ნაწილს.
5. ამ ბრძანების მე-4 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეტს დაეკისროს პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
– წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქ. №7) ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

– მშენებლობის ეტაპები: ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, სახურავისა და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ტერიტორიის კეთილმოწყობა.
1. სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის თითოეული ეტაპის დასრულებისას ნებართვის მფლობელი ვალდებულია, შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმი სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.
2. მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმს ხელს აწერენ დამკვეთი და მენარდე ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი.
3. შედგენილი ოქმი სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით უნდა წარედგინოს შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარებაზე უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს და მხოლოდ ამ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ წარმოადგენს იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.
4. მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის შედგენის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ოქმის შემდგენელს.
5. ოქმის შეუდგენლობა ან ოქმში არასწორი მონაცემების შეტანა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
6. დამკვეთი ვალდებულია III, IV კლასების ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის.
7. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

III-IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი– კ. ნიაური

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №692250

ნომერი: AR194087

თარიღი : 10.05.2013

გაცემის თარიღი : 23.05.2013

გაცნობის თარიღი : 27.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჟ. შარტავა , N 35 ;

გაურკვეველი

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერი ზარდიაშვილი პ/ნ 13001000697

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებლი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით ძოწენიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ი.მ.ა. "გაზაფხული"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205298444
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვლადიმერი ზარდიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 13001000697

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/1051
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 18.05.2011

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/1051
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.05.2011

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. გაიცეს ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ჟ. შარტავას ქ. #35–ში, ე.ს.ა ,,გაზაფხული"–ს თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, სავაჭრო და საოფისე) ობიექტის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 25 მაისიდან 2015 წლის 25 მაისის ჩათვლით.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.05.2011 წლის #01/1051 ბრძანებასთან ერთად.
4. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი, მათ შორის:
4.1 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა.
4.2 საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. #57–ე დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად.
4.3 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად.
4.4 კონსტურქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა–ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის ფუძე–საძირკვლისაგან.
4.5 სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის #57–ე დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლოდო კუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრებ ადამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.

• საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.

• დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

- აწარმოოსმშენებლობამშენებლობისნებართვითგანსაზღვრულვადებში;

- აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

- უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწისნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქითბილისი, ჟ. შარტავასქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.